# ცხრა მაისია! მზეს შესცინიან გამარჯვებული ჩვენი დროშები

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

9 მაისი, შაბათი, 1987 წ.
№ 90 (9501) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## გენერალ ლესელიძის მემორიალზე

დღეს ჭიათურის რინგზე გაიმართება გამოჩენილი ქართველი მხედართუფროსის გენერალ ლესელიძის საკავშირო მემორიალური ტურნირის ფინალური შეხვედრები.

კონსტანტინე ლესელიძის ტრადიციულმა მემორიალმა ამჯამად 85 ოსტატს მოუყარა თავი. მართალია, კრივის საკავშირო ცენტრებიდან ამჯერადაც მიიწვიეს სპორტსმენები, მაგრამ ისინი ვერ ჩამოვიდნენ და შეჯიბრებამ ლოკალური ხასიათი მიიღო. მიუხედავად ამისა, შეჯიბრების დონე ოდნავადაც არ შეცვლილა, დაძაბული ორთაბრძოლები მაყურებელთა დიდ ინტერესს იწვევს.

ბრძოლის მაღალი კლასითა და დაძაბულობით გამოირჩეოდა ნახევარფინალური შეხვედრები 60 კგ წონით კატეგორიაში. მოწონება ხვდა წილად ქუთაისელი სპორტსმენების თ. მესხაძისა და რ. თევდორაძის, აგრეთვე ჭიათურელი ე. ღვალაძისა და თბილისელი ა. ოგანიანის ორთაბრძოლებს, რომელშიც მესხაძემ და ღვალაძემ გაიმარჯვეს. მათი ხვალინდელი შეხვედრა, ვფიქრობთ, ფინალს დაამშვენებს. ფინ-



ალში გავიდნენ, აგრეთვე, ქუთაისელი ჯ. ქარციძე და თბილისელი ვ. თოთიაური, რომლებმაც პირველი ქვესაშუალო წონით კატეგორიის მოკრივეთა შეხვედრაში გაიმარჯვეს — დაამარცხეს შესაბამისად გ. დალაქიშვილი (გორი) და ე. ნასიბოვი (თბილისი). საინტერესო იქნება ფინალური ბრძოლა ქვემძიმე წონაშიც, სადაც ტყიბულელი ე. პატარიძე და ქუთაისელი კ. ჭეიშვილი შეხვდებიან ერთმანეთს. მათ შესაბამისად სძლიეს თბილისელებს თ. ამირჯანოვსა და ნ. მაჩიტაძეს.



**დიდ** სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების ღირსსახსოვარ დღესთან დაკავშირებით საქართველოს სპორტსახკომში მოეწყო შეხვედრა ომისა და სპორტის ვეტერანებთან, იმ სახელოვან ადამიანებთან, რომლებმაც ვაჟკაცურად გამოიარეს ომის ქარცეცხლი, შემდეგ კი დიდი წვლილი შეიტანეს ჩვენს რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის აღმავლობის საქმეში. ვეტერანებს ღირსეულ პატივს მიაგებს მადლიერი ხალხი. ითქვა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ვეტერანებთან მჭიდრო, შემოქმედებით ურთიერთობას.

შეხვედრაზე საპატიო სტუმრებმა ერთსულოვნად გაუსვეს ხაზი, რომ ისინი თავიანთ გამოცდილებას, უნარს, კვლავაც მოახმარენ საერთო საქმეს, ერის გაჯანსაღებას, სპორტულ მიღწევათა გამრავლებას.

**სურათზე: ომისა და სპორტის ვეტერანები საქართველოს სპორტსახკომში.**
**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**

## სპორტი პროფკავშირთა ეგიდით

**პროფკავშირთა** ახალი რესპუბლიკური ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების სტრუქტურა, მის წინაშე დასახული ამოცანები განიხილა 6 მაისს თბილისში გამართულმა ამ საზოგადოების გაერთიანებულმა პლენუმმა. საქმე ეხებოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის, სსრ კავშირის და საქართველოს სსრ პროფკავშირთა უკანასკნელი ყრილობების მოთხოვნათა მიხედვით ფიზკულტურის კოლექტივებსა და სპორტულ კლუბებში მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის გარდაქმნას.

პლენუმზე მოხსენება გააკეთა საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა გ. ს. შულაროვმა.

პრობლემის განხილვაში მონაწილეობდნენ პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, სპორტული ორგანიზაციებისა და კლუბების, სასწავლებლების წარმომადგენლები, ჟურნალისტები.

პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ პროფკავშირებს, რომლებიც მოწოდებული არიან ზრუნავდნენ ადამიანთა ჯანმრთელობისათვის, ახლა აქვთ დიდი შესაძლებლობანი, რათა გადაწყვიტონ ეს პასუხსაგები სოციალური და პოლიტიკური ამოცანა. რესპუბლიკის პროფსაბჭოს გამგებლობაში არის 49 სტადიონი, 2479 ფრენბურთისა და კალათბურთის მოედანი, 891 ფეხბურთის მოედანი, 27 ტირი, 31 საცურაო აუზი, მძლეოსნობის სასახლე. ამ ბაზებში ჯანმრთელობას იკაჟებს მილიონამდე კაცი, მათგან გამაჯანსაღებელი მიმართულების ჯგუფებში — თითქმის 400 ათასი ფიზკულტურელი, რომლებსაც ემსახურება 3 ათასზე მეტი ფიზკულტურული მუშაკი. ეწყობა მეტი მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული ღონისძიება. ისინი იმართება შაბათ და კვირა დღეებში, მუშაობასა და სწავლას მონაწილეთა მოუწყვეტლივ, გამარტივებული წესებით და ყოველი ასაკის ადამიანისათვის.

მთელ რიგ ადგილებში ფიზიკუ-

იხ. მე-2 გვ.

## ომგადახდილი



დაკვირვებული ვარ, ომის მონაწილე ყველა ქალი გულისხმიერებით და საქმისადმი თავდადებით გამოირჩევა. როგორც ჩანს, ომში განცდილმა ჭირ-ვარამმა დააბრძენა და გააკეთილშობილა ისინი. ერთი ასეთი ქალი „შრომითი რეზერვების“ სპორტის სასახლეში მუშაობს. ვესტიბიულში გამოკრული სტენდიდან, რომელშიც სამამულო ომის მონაწილეთა სურათებია გამოფენილი, ლეიტენანტის სამხრეებიანი ქალი სათნო ღიმილით შემოგვყურებს. ეს ქალი ამ სასახლის ექთანი ნინა ავსაჯანიშვილია. მე იგი ხშირად მინახავს სპორტულ შეჯიბრებებზე, მინახავს

იხ. მე-2 გვ.



გარდაქმნის კურსი, სხვა დარგებთან ერთად, რა თქმა უნდა, ფიზკულტურასა და სპორტსაც შეეხო. წელს საქართველოს სპორტსახკომმა მიიღო გადაწყვეტილება ყოველი წლის აპრილ-მაისში მოაწყოს ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვების სპორტული სკოლების აღსაზრდელებთან ჩატარებული მუშაობის შედეგების სახელმწიფო მიღება. პირველნი კომისიის წინაშე წარსდგნენ აკრობატიკის რესპუბლიკური სკოლის აღსაზრდელები. დაწვრილებით მახალას სახელმწიფო მიღების შესახებ „ლელოს“ უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.

## „საქართველოს ტელევიზიის დიდი პრიზი“ ველოსპორტში

## სიტყვა მძლევა... ფოტოფინიშს

**გერმანიის** დემოკრატიული რესპუბლიკის სპრინტერთა უფროს მწვრთნელს გერდ მიულერს სანერვიულო თითქოს არაფერი ჰქონდა: საქართველოს ტელევიზიის დიდი პრიზი მის ერთ-ერთ მოწაფეს ლუც ჰესლიჰს ან მიჰაელ ჰიუბნერს უნდა დარჩენოდა. მწვრთნელს ორივე შემთხვევაში შეეძლო ემაყა, მაგრამ, როგორც ჩანს, ფინალური ბრძოლის სიმწვავემ იგი მაინც აალელვა.



მსაჯთა კოლეგიამ გულდასმით შეისწავლა ფოტოფინიში და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ფინალური რბოლის პირველ სერიაში სულ უმნიშვნელო, თვალით თითქმის დაუნახავი უპირატესობა მაინც მსოფლიოს ახლანდელი ჩემპიონის მიჰაელ ჰიუბნერის მხარეს იყო, შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა,

იხ. მე-4 გვ.

## კურტანიძე და კიბორძალიძე ნახევარფინალში

**პარიზი.** საფრანგეთის დედაქალაქში დაიწყო ევროპის ჩემპიონატი ძიუდოში. წინასწარ შეხვედრებში წარმატებით იასპარეზეს გორელმა კობა კურტანიძემ (95 კგ) და ქუთაისელმა აკაკი კიბორძალიძემ (+95 კგ) — ისინი ნახევარფინალში გავიდნენ. ნახევარფინალის საგზური მოიპოვა აგრეთვე გროზნოელმა ბაშირ ვარაევმა (78 კგ). ფინალური ორთაბრძოლები დღეს და ხვალ გაიმართება.

## გამარჯვების დღეს მიეძღვნა

**გამარჯვების** დღესასწაული საერთო-სახალხო ზეიმია, სპორტსმენები და ფიზკულტურელები კი მასობრივი სტარტებითა და საჩვენებელი გამოსვლებით აღნიშნავენ 9 მაისს. ამ შეჯიბრებათა დიდი ნაწილი დღეს და ხვალ გაიმართება, თუმცა პირველი სტარტები უკვე გუშინ ჩატარდა.

თბილისის ათივე რაიონმა გამოიყვანა გუნდი კუს ტბაზე გამართულ მასობრივ ჭძლეოსნურ კროსში. 500-ზე მეტმა მოსწავლე გოგონამ და ამდენივე ჭაბუკმა შემოურბინა ტბის გარშემო მოწყობილ კილომეტრზე მეტი სიგრძის ბილიკს (ბიჭები ორ წრეზე დარბოდნენ). გამოვლინდნენ გამარჯვებულებიცა და პრიზიორებიც, თუმცა, როგორც კროსის ორგანიზატორებმა აღნიშნეს, მთავარი მათთვის შეჯიბრების მასობრიობა იყო.

**სურათზე: მასობრივი გარბენის მონაწილენი (ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო).**



# სპორტი პროფკავშირთა ეგიდით

დასასრული

რი კულტურისა და სპორტის განვითარების საკითხები შეაქვს საწარმოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებში, კოლექტიურ ხელშეკრულებებში.

მაგრამ, ამას არ უნდა დავჯერდეთ, ხაზგასმით აღინიშნა პლენუმზე. სტატისტიკით, შარშან 615 სამრეწველო საწარმოში საწარმოო ტანვარჯიშს მისდევდა 234 ათასზე მეტი კაცი, ესე იგი ყველა მომუშავის 62,7 პროცენტი. მაგრამ შემოწმებები ცხადყოფს, რომ ეს ზომიერად გაზვიადებული ციფრებია. საწარმოთა უმრავლესობა არ არის რადიოფიცირებული, ფორმალურად არის შექმნილი აქ მეთოდსაბჭოები. 140 სამრეწველო საწარმოში საერთოდ არ ეწყობა საწარმოო ტანვარჯიში. ბევრი ფიზკულტურული მუშაკი მეცადინეობას ახმარს არა მასებში მუშაობის ორგანიზაციას, არამედ ისეთი ანგარიშების შედგენას, რომლებიც სასიკეთო ვითარების სურათს ქმნიან.

ამჟამად რესპუბლიკის პროფკავშირული ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებანი აერთიანებენ 4652 ფიზკულტურულ კოლექტივს. მაგრამ აქედან 1300-ზე მეტს არა აქვს უმარტივესი სპორტული ბაზები და მოედნები, დაახლოებით ნახევარი კი იჯარითაც არ იღებს სპორტნაგებობებს.

შარშან სამრეწველო საწარმოთა ფიზკულტურის კოლექტივებში მშდ ნიშნოსანი გახდა მშრომელთა 17 პროცენტი. ეს საშუალო-საკავშირო მაჩვენებელზე მეტია. მაგრამ აქაც აღმოფხვრილი არ არის წამატებები და ფორმალიზმი. ჯვლავ არის სიყალბის ფაქტები.

პლენუმზე დაისვა კითხვა: მაგალითად, რომელ ბაზებში წარმოებს მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება ახალციხის რაიონში. აქ, თუმცა არც ერთი საცურაო აუზი და ტირი არა აქვთ, მაგრამ ფიზკულტურის კოლექტივებმა შარშან მოამზადეს 620 მშდ ნიშნოსანი. ასეთივე მდგომარეობაა დუშეთის, ონის, ბოლნისის, მახარაძის, ადიგენის, ასპინძისა და მთელ რიგ სხვა რაიონებში.

ჯერ კიდევ სათანადო ყურადღება არ ეთმობა მწვრთნელთა და მასწავლებელთა კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას საზოგადოებათა სექციებსა და სპორტულ სკოლებში. მომუშავე მწვრთნელთა ნახევარს არა აქვს კატეგორიები, მეოთხედს — უმაღლესი ფიზკულტურული განათლება. აქ ჯერ კიდევ ბევრია შემთავსებელი, დაბალია სპეციალისტთა მომზადების დონე.

ყოველივე ეს, თქვეს პლენუმის მონაწილეებმა, ბევრად აიხსნება ფიზკულტურული ორგანიზაციის მართვის არსებული სტრუქტურით. თვით ცხოვრება გვიკარნახებს, რომ საქმეს ხელს უშლის მათი დაქსაქსულობა და უწყებრიობა. უკანასკნელ დრომდე ჩვენში მოქმედებდა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების 7 რესპუბლიკური, 9 საოლქო, 30 საქალაქო, 89 რაიონული საბჭო. ეს წარმოშობდა პარალელიზმსა და დუბლირებას, უკონტროლობას, ხშირად კი არაჯანსაღ კონკურენციას, რომელიც კუთხურ ინტერესებთან არის დაკავშირებული.

გარდა ამისა, ამგვარმა დაქსაქსულობამ უარყოფითი გავლენა მოახდინა ფიზკულტურისა და სპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენებაზე, რომელიც რესპუბლიკაში ისედაც სუსტია. ყოველი ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება რეგიონებში აწყობდა თავის სპორტულ შეჯიბრებებსა და შეკრებებს — ხშირად ერთი და იმავე სახეობის სპორტში, თავის პლენუმებს, სემინარებს, თათბირებს, პრეზიდიუმებს, რის შედეგად საქმეს სწყდებოდა ათი ათასობით კაცი, რაც იწვევდა მნიშვნელოვან მატერიალურ ხარჯებს. დიდი დრო სჭირდებოდა ყოველგვარი დოკუმენტ-ინსტრუქციის, დებულების შედგენას, მასობრივი ფიზკულტურული, გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის საზიანოდ.

გაითვალისწინა რა ეს, აგრეთვე ფართო საზოგადოებრიობის აზრი, საკავშირო პროფსაბჭომ მიმდინარე წლის თებერვალში მიიღო დადგენილება „პროფკავშირთა ერთიანი ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების შექმნის შესახებ“ განცალკევებულ ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა ნაცვლად. ეს შესაძლებლობას იძლევა გადავწყვიტოთ დროით დასახული საკითხები, დავძლიოთ ფიზკულტურული მოძრაობის უწყებრივი დაქსაქსულობა, სრულვყოთ მისი სტრუქტურა და, რაც მთავარია, გავაფართოოთ დემოკრატიული საწყისები პროფკავშირთა ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების მუშაობაში.

ანალოგიური საზოგადოება შეიქმნა ჩვენს რესპუბლიკაშიც. განიხილეს რა მისი ამოცანები, პლენუმის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ახლანდელი რეორგანიზაცია არსებულ სპორტულ საზოგადოებათა მექანიკური გაერთიანება კი არა, საქმის ორგანიზაციის ძირეული შეცვლაა.

ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესება უშუალოდ შრომითსა და სასწავლო კოლექტივებში, მოსახლეობის საცხოვრებელ ადგილას — აი, გარდაქმნის მთავარი ამოცანა. ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობის მთელი ძალა უნდა გადავიტანოთ ფიზკულტურის კოლექტივებში, განვამტკიცოთ ისინი. მაშინ გარდაქმნას ამ უბანზე ექნება საიმედო და შეუქცევადი ხასიათი.

აირჩიეს საქართველოს პროფკავშირთა ახალი რესპუბლიკური ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების საბჭოს პრეზიდიუმი. საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია თ. გ. ქლენტი.

განხილულ საკითხზე მიღებულია დადგენილება, რომელიც ითვალისწინებს მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის გარდაქმნის კონკრეტულ ღონისძიებებს.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე ვ. მ. სირაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ნ. ა. ფოფხაძე, პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების თავმჯდომარე ბ. ნ. როგატინი.

(საქინფორმი).

# ომგადახდილი

დასასრული

როგორ უამებდა ტკივილებს დაშავებულ სპორტსმენებს. გადავწყვიტე 9 მაისს სწორედ მის შესახებ მომეთხრო ჩვენი გაზეთის მკითხველისათვის, მაგრამ ქალბატონი ნინა სამსახურში არ დამხვდა — ლენინგრადში გაფრენილიყო, რათა როგორც ბლოკადის მონაწილეს გამარჯვების დღის აღსანიშნავ ზეიმში მიეღო მონაწილეობა, როცა გაიგეს რისთვის ვიყავი მისული, სასახლის თანამშრომლებს გაეხარდათ — დეიდა ნინა არაჩვეულებრივი ქალია, ძალიან კარგს იზამთ თუ სხვებსაც გააცნობთ. მეც ავდექი და ცნობების შეკრება დავიწყე.

აკრობატიკის რესპუბლიკური სკოლის დირექტორმა საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა მიხეილ გეგელიამ მითხრა:

— ქალბატონი ნინა საქმის ერთგული ქალია. ყოფილა შემთხვევა, შეჯიბრებაზე მსაჯი არ მოსულა ან სპორტსმენი არ გამოცხადებულა, მაგრამ არ მახსოვს ქალბატონ ნინას გაეცდინოს სამსახური. ავადაც რომ გახდეს, შინ ვერ გააჩერებთ.

ვესაუბრე ქალბატონ ნინას მეუღლესაც, გარდაბნის რაიონის სოფელ სართიჭალის პირველი საშუალო სკოლის დირექტორს გიორგი ხახაშვილს.

— ჩემს მეუღლეს ფრონტზე შევხვდი. ნინა 1942 წლის თებერვალში მოხალისედ წავიდა ომში, მისი ორი ძმაც ფრონტზე იყო. იგი თბილისის რკინიგზის საფერშლო ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ ორი წელი ფიზიოთერაპიულ საავადმყოფოში მუშაობდა. რა დამავიწყებს, 1944 წლის 7 თებერვალს ბელორუსიაში, ვიტებსკთან, ნაღმმა მკლავი მომაგლიჯა. უახლოეს ბლინდაჟამდე ძლივს მივა[illegible] ახალგაზრდა [illegible] მომეცნაურა — ყაზბეგის რაიონიდან ვარ, გორისციხიდან, ნინა მქვიაო. ამავე წლის 23 მაისს ჰოსპიტალიდან გამომწერეს — სახლში, თიანეთში გამომიშვეს. 46-ში თბილისის უნივერსიტეტში ფილოსოფიის ფაკულტეტზე დავიწყე სწავლა. საყვირის ქუჩაზე № 17 სახლში მდგმურად ვცხოვრობდი. ჩვენს ეზოში შემოდიოდა ხოლმე მეზობელი ქალიშვილი. ერთხელაც სახლის პატრონმა გამაცნო — ესეც შენსავით გერმანელებს ებრძოდაო. საუბარში გაირკვა, რომ იგი სწორედ ის ქალიშვილი იყო, რომელმაც პირველი დახმარება აღმომიჩინა. 3 თვის შემდეგ დავქორწინდით.

ნინა ავსაჯანიშვილს ტყვიის წვიმაში ასეულობით დაჭრილი ჯარისკაცი გამოუყვანია სამშვიდობოს. თავდადებისა და სიმამაცისთვის სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენი და 12 მედალი აქვს მიღებული, ბატონ გიორგის კი ორი პირველი ხარისხის ორდენი და 11 მედალი. ორი ვაჟი და ერთი ქალიშვილი ჰყავთ. უფროსი — მერაბი — მხატვარია, ირინა — გერმანული ენის სპეციალისტი, უმცროსი მურმანი კი ლენინგრადის პედაგოგიური ინსტიტუტის I კურსის სტუდენტია.

ეს სურათი ბატუტზე მხტომელთა შეჯიბრების დროს გადავიღეთ, ერთმა გოგონამ ფეხი იტკინა და ქალბატონი ნინაც უმალ მასთან გაჩნდა. მისი პაციენტები ზოგჯერ მედიკამენტების გარეშეც იოლად გადიან. გულისხმიერი ქალის სითბო და ტკბილი სიტყვა კურნავთ.

გამარჯვების დღეს გილოცავთ, ქალბატონო ნინა და ბატონო გიორგი!

ჯემალ კასრაძე.



ჭადრაკის სასახლეში დიდი ზეიმია — დაიწყო ტრადიციული საკავშირო საჭადრაკო ფესტივალი — „გაზაფხული-87“, რომელიც ეძღვნება ფაშიზმზე გამარჯვების 42-ე წლისთავს. ჩვენს დედაქალაქს ეწვივნენ ვოლგოგრადელი და ბაქოელი ნორჩი მოჭადრაკეები, შეჯიბრებაში ჩაებნენ რესპუბლიკური პიონერთა სასახლისა და ცხაკაიის წარმომადგენლები, მათთან ერთად ფესტივალის ორგანიზატორები — თბილისის განათლების სამმართველოს საჭადრაკო სკოლის ნაკრები გუნდები. თითოეული კოლექტივის შემადგენლობაშია 1974 წელსა და უფრო გვიან დაბადებული ორ-ორი გოგონა და ოთხ-ოთხი ბიჭი.

## საქართველოს თასის გათამაშება მშვილდოსნობაში
# იფვევენ სპეციალისტს!

**საქართველოს** თასის წლევანდელი გათამაშება მშვილდოსნობაში ზუგდიდის კომკავშირის სახელობის პარკში ჩატარდა. ზუგდიდელებმა შეჯიბრებას კარგად უმასპინძლეს, მაგრამ შედეგებით ვერ გაუტოლდნენ თბილისელ და აჭარელ სპორტსმენებს.

— „ზუგდიდის მშვილდოსნობის ბაზა საუკეთესოა რესპუბლიკაში, —თქვა შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა გივი დავითაშვილმა. მოხერხებულ ადგილზეა აშენებული, დამხმარე სათავსოებიც საკმარისად აქვს. აქ ვარჯიშის მსურველებიც ბევრნი არიან, მაგრამ, სამწუხაროდ, მწვრთნელი არ ჰყავთ. მას შემდეგ, რაც ადგილობრივი სპეციალისტი, ახალგაზრდა სპორტის ოსტატი შალვა წიბლიაშვილი ჯარში გაიწვიეს, ზუგდიდელი მსროლელები უყურადღებოდ დარჩნენ. დამოუკიდებლად ვარჯიში კი, თუნდაც უსაფრთხოების თვალსაზრისით, დაუშვებელია. ერთი სიტყვით, ზუგდიდს ესაჭიროება მშვილდოსნობის მწვრთნელი, რათა ქალაქის ბაზა არ მოცდეს. აქ ყველა პირობაა საიმისოდ, რომ ზუგდიდი მშვილდოსნობის საყრდენ ბაზად იქცეს რესპუბლიკაში“...

საქართველოს თასის გათამაშებაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: გოგონათა პრიზი რეგინა იახშიანს ერგო („ლოკომოტივი“), მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ნატო ნასარიძე („შრომითი რეზერვები“) და ნაზი დიასამიძე („კოლმეურნე“).

ვაჟთა შორის ყველას აჯობა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ვადიმ რეშეტოვმა. მეორე ადგილი დაიკავა ბურევესტნიკელმა კახა ჩიხორიამ, მესამე — მურმან დიასამიძემ („კოლმეურნე“).

გუნდური შეჯიბრება ასე დამთავრდა. **ქალები.** 1. თბილისი; 2. აჭარა; 3. აფხაზეთი. **ვაჟები.** 1. თბილისი; 2. აჭარა; 3. ზუგდიდი.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა და რესპუბლიკის თასი დაისაკუთრა თბილისის ნაკრებმა.

კოკი ფიფია.

## იმარჯვეს სამტრედიელებმა

**რუსთავში** დამთავრდა რესპუბლიკური შეჯიბრება „დიდი შაშის“ პრიზზე. ტურნირში მონაწილეობდნენ თბილისის (3), სამტრედიის, საგარეჯოსა და რუსთავის გუნდები (თითოეულის ღირსებას ორი გოგონა და სამი ვაჟი იცავდა).

14 ქულით გაიმარჯვა სამტრედიის გუნდმა (ლალი ჩომახიძე, პავლე გრიგოლია, დათო გრიგოლია და ლია ღირდალაძე), მას ნახევარი ქულით ჩამორჩა თბილისის ოქტომბრის რაიონის ნაკრები, მესამე ადგილი საგარეჯოს ნაკრებმა დაიკავა — 12,5 ქულა.

ვლადიმერ ქანდელაკი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

# „შევარდენი“ ფრთებს შლის

**სოფელ** ლორეშში შესულს მთის პატარა მდინარის ჩხერიმელას მარცხენა ნაპირზე, გაშენებული კოხტა სპორტული კომპლექსი მოგტაცებთ თვალს. კომპლექსისთვის „შევარდენი“ დაურქმევიათ, აქ არის მინიფეხბურთის, კალათბურთის, ხელბურთის სათამაშო მარტივი სპორტული მოედნები. შემაღლებაზე პატარა ლამაზი სკვერიც მოუწყვიათ, იქვე სპორტსმენთა დასასვენებელი კოტეჯი დგას.

ჩხერიმელას მარჯვენა ნაპირზე კულტურისა და დასვენების პარკია გაშენებული. ყველაფერი ლამაზია აქ — ტბა, ნავები და გედები. სოფელს სახე უცვლია ენთუზიასტთა წყალობით, რომელთაც დაუღალავი კაცი — საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი ტუხია ორჯონიკიძე ჩადგომია სათავეში. ამაგდარ პედაგოგს 82 წელი შეუსრულდა.

— სოფლის მშრომელების, მოსწავლე ახალგაზრდობისა და რაიონის ხელმძღვანელების ხელშეწყობით მივაღწიეთ ამას — გვეუბნება — რასაც ხედავთ. ყველაფერი საზოგადოებრივ საწყისებზე გაკეთდა, ხალხი შაბათობით გამოდიოდა სამუშაოდ. ასე მოვაწყეთ „ვაჟას ქოხი“ და მისი სახელობის ეზო. რამდენიმე წნის წინ ზემდგომ ორგანოებს მივაკითხეთ თბილისში. ყურადღებით მომისმინეს და დახმარება აღგვითქვეს.

რაიონის ცენტრში მთავარი სტადიონის კეთილმოსაწყობად ამ დღეს ახალგაზრდებთან ერთად რაიონის ხელმძღვანელებიც ენერგიულად შრომობდნენ. საქმე ისაა, რომ ეს ათასადგილიანი სპორტული ბაზა წლის ბოლომდე უნდა ჩადგეს მწყობრში. აქვე, ფეხბურთის მთავარი მოედნის გვერდით მოეწყობა კალათბურთის, ფრენბურთის მოედნები, აშენდება საცურაო აუზი. კაპიტალურად შეკეთდა ბავშვთა და მოზარდთა სპორტული კომპლექსის სკოლა, სადაც ბავშვთა სპორტული სექციების შემდეგ გამაჯანსაღებელი ჯგუფები მეცადინეობენ. პირველ სართულზე, ფოიეში, ჩოგბურთის 10 მაგიდაა დადგმული, სპორტული კომპლექსის კარი 10 საათამდე არ იკეტება.

კეთილმოწყობილია მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკის სპორტული მოედნებიც. აქ შენდება დასასვენებელი სახლი, მოეწყობა ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები.

— გვინდა საცურაო აუზიც გვქონდეს და გვექნება კიდეც — გვითხრა ფაბრიკის დირექტორმა თენგიზ გორშკოვმა, წარსულში კარგმა ფეხბურთელმა, ხაშურის „ლოკომოტივის“ ყოფილმა მოთამაშემ.

აქვე უნდა ითქვას, რომ კულტურულ-სპორტული კომპლექსის საკოორდინაციო საბჭოს ანგარიშზე 1987 წლის პირველ კვარტალში დაბის სტადიონის კაპიტალური რემონტისათვის გამოყოფილია 14 ათასი მანეთი, ხოლო სხვადასხვა სოფლების სპორტული კომპლექსების კეთილმოსაწყობად — 6 ათასი მანეთი.

იური ბალდავა,
სპორტის ოსტატი.

• • •



სურათზე: მინდორზე არიან ორჯონიკიძელი და სამტრედიელი ფეხბურთელები.

ავტორის ფოტო.

საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი კალათბურთში

# ტურის ცენტრალური მატჩი

**კალათბურთელ** ვაჟთა რესპუბლიკური ჩემპიონატის მეცხრემეთე ტურის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდებს შორის 5-6 მაისს გაიმართა, ამიტომ ამ შეხვედრების ტექნიკურ შედეგებს ცალკე გთავაზობთ.

**5 მაისი. უნივერსიტეტი (თბილისი) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 86:74 (44:31). მსაჯები: მ. ქურიძე, რ. გელოვანი, კომისარი — მ. ბაგრატიონი (ყველა — თბილისი).**

**უნივერსიტეტი:** ნათობიძე (26), ლომიძე (22), ბოროდაჩოვი (16), ტალაბაძე (10), ძიძავა (7), კვინიკაძე (5).

**პოლიტექნიკური ინსტიტუტი:** გიორგობიანი (26), ვაშაკიძე (19), პეტრიაშვილი (17), ქამუშაძე (6), გაბრიჩიძე (4), ჯამარჯიშვილი (2), გოგელია, ლიპარტელიანი.

**6 მაისი. უნივერსიტეტი (თბილისი) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 107:78 (47:30). მსაჯები: მ. ქურიძე, რ. გელოვანი, კომისარი — რ. გოგელია (ყველა — თბილისი).**

**უნივერსიტეტი:** ტალაბაძე (24), ძიძავა (24), ბოროდაჩოვი (15), ნათობიძე (14), ლომიძე (14), ცაგარეიშვილი (6), კვინიკაძე (4), დვალი (3), დონაძე (2), ხუხაშვილი (1), ემირიძე.

**პოლიტექნიკური ინსტიტუტი:** პეტრიაშვილი (15), გიორგობიანი (15), გაბრიჩიძე (14), ქამუშაძე (9), გოგელია (8), ცაგარეიშვილი (8), ვაშაკიძე (5), ჯამარჯიშვილი (4).

ჩემპიონატის პირველი ეტაპის ერთი ნახევარი დამთავრდა. გუნდები კიდევ ორ-ორჯერ შეხვდებიან ერთმანეთს და მხოლოდ ამის შემდეგ დადგინდება ფინალისტთა ექვსეული. ჯერჯერობით კი სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა:

**I ქვეჯგუფი**

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| თსუ (თბილ.) | 10 | 8 | 2 | 922-786 | 18 |
| სპი (თბილ.) | 10 | 8 | 2 | 921-814 | 18 |
| „დინ." (თბ.) | 10 | 5 | 5 | 770-806 | 15 |
| სოხუმი | 10 | 4 | 6 | 850-850 | 14 |
| რუსთავი | 10 | 3 | 7 | 772-904 | 13 |
| გორი | 10 | 2 | 8 | 776-851 | 12 |

**II ქვეჯგუფი**

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| სკიფ (თბ.) | 10 | 9 | 1 | 867-741 | 19 |
| „სინათ." (თბ.) | 10 | 8 | 2 | 966-872 | 18 |
| „მართ." (თბ.) | 10 | 6 | 4 | 860-831 | 16 |
| ქუთაისი | 10 | 4 | 6 | 778-811 | 14 |
| თელავი | 10 | 2 | 8 | 816-953 | 12 |
| ბათუმი | 10 | 1 | 9 | 751-830 | 11 |

## დღეს და ხვალ

**9 და 10 მაისს** კალათბურთელ ვაჟთა რესპუბლიკური ჩემპიონატის კალენდრით გათვალისწინებული ექვსი მატჩიდან ხუთი თბილისში, კიროვის სახელობის პარკის დარბაზში გაიმართება. ამ შეხვედრათა განრიგი ასეთია:

11.00. „დინამო" (თბილისი)— რუსთავი

12.30. ფიზკულტურის ინსტიტუტი — „მართვე" (თბილისი)

14.00. უნივერსიტეტი (თბილისი) — გორი

15.30. „სინათლე" (თბილისი)— თელავი

17.00. პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — სოხუმი.



ს უ რ ა თ ზ ე: უნივერსიტეტისა და სპი-ის გუნდების შეხვედრის მომენტი.

ფეხბურთი

# ოლიმპიურ სარბიელზე

**სსრ კავშირის** ფეხბურთელთა ოლიმპიურმა გუნდმა 7 მაისს სოფიაში შესარჩევი მატჩი გამართა ბულგარეთის ნაკრებთან (ევროპის IV ჯგუფი). სტუმრებმა კარგად ჩაატარეს მატჩის მეორე ნახევარი და 63-ე წუთზე გაიტანეს ბურთი (მიხაილიჩენკო), რომელმაც მათ გამარჯვება მოუტანა — 1:0. აღსანიშნავია, რომ 74-ე წუთზე ჩვენი გუნდის კარში 11-მეტრიანი დაინიშნა, მაგრამ ტანევის მიერ დარტყმული ბურთი აიღო მეკარე ხარინმა.

საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში იყვნენ: ხარინი, ლოსევი, სკლიაროვი, იაროვენკო, ფოკინი, ტიშჩენკო, მიხაილიჩენკო, ვორობიოვი (ტატარჩუკი, 46), ბროშინი, დობროვოლსკი, ლიუტი.

ამავე დღეს ნორვეგიის ქალაქ მოსში ერთმანეთს შეხვდნენ ნორვეგიისა და თურქეთის ფეხბურთელები, თამაში დამთავრდა ფრედ— 1:1. პირველ წარმატებას მიაღწიეს თურქებმა (დემირმა გუნდი 51-ე წამზე დააწინაურა), მე-6 წუთზე კი ფლომ საპასუხო ბურთი გაიტანა.

**გათამაშების ცხრილი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 3 | 2 | 1 | 0 | 3-0 | 5 |
| შვეიცარია | 3 | 1 | 1 | 1 | 4-4 | 3 |
| თურქეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-5 | 3 |
| ნორვეგია | 3 | 0 | 2 | 1 | 1-2 | 2 |
| ბულგარეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |

## ბაქოდან, ერევნიდან...

**10 მაისს გაიმართება სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის IX ტურის მატჩები უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის.**

თბილისის „დინამო" ბაქოში შეხვდება „ნეფთჩის". ამ მატჩის რეპორტაჟს საქართველოს ტელევიზია 19 საათიდან გადმოსცემს I პროგრამით.

ერევნის „არარატისა" და ლანჩხუთის „გურიის" შეხვედრის II ტაიმის რეპორტაჟს ვნახავთ 22 საათსა და 40 წუთიდან.

## სტატისტიკოსის ბლოკნოტში

**7 მაისს** დონეცკში შედგა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის გამოტოვებული მატჩი ადგილობრივ „შახტიორსა" და კიევის „დინამოს" შორის. თამაში მოიგეს მასპინძლებმა — 1:0, გოლი 86-ე წუთზე გაიტანა გრაჩოვმა. ამ გუნდების დუბლიორთა შეხვედრა ფრედ დამთავრდა—1:1.

კიევის დინამოელებმა საკავშირო ჩემპიონატის 5 მატჩიდან 3 წააგეს.

## II ლიგა

**7 მაისს შედგა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების VI ტურის მატჩები.**

ფოთის „კოლხეთისა" და სამტრედიის „ლოკომოტივის" შეხვედრის შესახებ ჩვენმა ფოთელმა კორესპონდენტმა **ამირან ლომაიამ** შეგვატყობინა:

**— ამ ორი გუნდის შეხვედრები მუდამ საინტერესოდ, დაძაბულად მიმდინარეობს, მაგრამ ახლა, როცა „კოლხეთიც" და „ლოკომოტივიც" სატურნირო ცხრილის წამყვანი ჯგუფის უახლოესი მეზობლები არიან, მეტოქეებმა რატომღაც სიფრთხილე არჩიეს, თამაში საკმაო ხნის განმავლობაში შუა მინდორში მიმდინარეობდა. ეტყობა, ორივე გუნდის ტაქტიკას გარკვეული დაღი დაამჩნია იმ გარემოებამ, რომ მათ ამ ტურამდე მარცხი არ ჰქონდათ განცდილი.**

**შუა ტაიმში თამაშის ტემპმა მკვეთრად მოიმატა, მასპინძლებმა რამდენიმე ძლიერი შეტევა განავითარეს, მაგრამ გიორგაძემ და ჯაკობიამ ვერ გამოიყენეს ბურთის გატანის საუკეთესო შესაძლებლობანი, სამაგიეროდ, სამტრედიელებმა კარგად ისარგებლეს „კოლხეთის" მცველთა შეცდომით და ჰანტურიამ თავით გაგზავნა ბურთი მასპინძელთა კარში—1:0.**

**ფოთელთა დაცვის ხაზის მოთამაშეებმა 87-ე წუთზე კიდევ ერთხელ დაუშვეს შეცდომა და იმავე ჰანტურიამ ანგარიში 2:0-მდე აიყვანა.**

**მასპინძელ ფეხბურთელთა ყველა ცდას, თავი დაეღწიათ დამარცხებისთვის, შედეგი არ მოჰყოლია, მათ „ლოკომოტივის" კარში 87-ე წუთზე დანიშნული 11-მეტრიანიც ვერ გამოიყენეს.**

ფრიად უსიამოვნო ინციდენტი მოხდა რუსთავის სტადიონზე, სადაც ადგილობრივი „მეტალურგი" გორის „დილას" ხვდებოდა.

თამაში თავიდანვე მეტად დაძაბულად მიმდინარეობდა, ორივე გუნდის ფეხბურთელები წესრიგსაც ხშირად არღვევდნენ, რის გამოც ერევნელმა არბიტრმა ა. აბრამიანმა გააფრთხილა გორელი მიხანაშვილი და რუსთაველი უგრეხელიძე.

ტაიმის ბოლო წუთზე „დილის" კარში ბურთი გაიტანა უგრეხელიძემ. შესვენების შემდეგ „მეტალურგი" თითქმის განუწყვეტლივ უტევდა, მაგრამ უკვე თამაშის მიწურულს სტუმრებმა სწრაფი კონტრიერიში განახორციელეს და „მეტალურგის" კარი მეტად სახიფათო მდგომარეობაში აღმოჩნდა, როცა მცველმა უხეშად წააქცია ერთ-ერთი გორელი თავდამსხმელი. წესის დარღვევა აშკარა იყო, მაგრამ მსაჯმა 11-მეტრიანი არ დანიშნა.

**!** „დილის" მცველმა ქ. კარანაძემ „საკუთარი ძალებით" სცადა ანგარიში გაესწორებინა არბიტრთან, გამოიქცა თავისი საჯარიმო მოედნიდან, გაირბინა დაახლოებით 40-50 მეტრი და უხეშად ზურგში ხელი ჰკრა მსაჯს. არბიტრმაც არ დააყოვნა და წამსვე წითელი ბარათი აჩვენა უდისციპლინო ფეხბურთელს. შემდგომში კულუმბეგოვმა მეორე ბურთიც გაიტანა — 2:0.

რა კომენტარი შეიძლება გავუკეთოთ ქ. კარანაძის ამ ყოვლად დაუშვებელ საქციელს? II ლიგის შეჯიბრება საკავშირო ღონისძიებაა და ამ კონკრეტულ საკითხზე თავის გადაწყვეტილებას ის მიიღებს, ვისაც შეჯიბრების ჩატარება ევალება, მაგრამ ლიგაში საქართველოს გუნდები გამოდიან და უფლება არა გვაქვს უყურადღებოდ დავტოვოთ წესრიგის უხეში დარღვევის ამგვარი შემთხვევები. მომხდარ ფაქტზე, რა თქმა უნდა, უშუალოდ გორის „დილის" კოლექტივი და ქალაქის სპორტული მესვეურები იმსჯელებენ, მაგრამ თვით ქ. კარანაძის შესახებ ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ მან თავისი თავშეუკავებლობით მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო გუნდი. ჯერ ერთი, ამ მეტად ძნელ მატჩში ფეხბურთელმა თავისი უსაქციელობით 10 კაცის შემადგენლობით აიძულა გუნდი თამაში გაეგრძელებინა, გარდა ამისა, იგი შესაბამის სასჯელს მიიღებს და შემდგომ მატჩებშიც გამოაკლდება კოლექტივს, კარანაძე კი „დილის" ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა. ამგვარი წამიერი „აფეთქება", ფაქტიურად, თანაგუნდელებისა და ამხანაგების მიუტევებელი ღალატია, გამოცდილმა ფეხბურთელმა კი ეს კარგად უნდა იცოდეს.

**ტურის სხვა შედეგები:** „კოლხოზჩი" (აშხაბადი) — „ქიაფაზი" (კიროვაბადი) 0:0, „ვოსხოდი" (სუმგაითი) — „ყარაბახი" (სტეფანაკერტი) 3:0, „ლორი" (კიროვაკანი) — „შევარდენი"-სპი (თბილისი) 1:0, „დინამო" (სოხუმი) — „მეშახტე" (ტყიბული) 4:0, „სპარტაკი" (ოქტემბერიანი) — „ავტომობილისტი" (მინგეჩაური) 2:1, „ოლიმპია" (ლენინაკანი) — „გოიაზანი" (ყაზახი) 1:0.

**II ლიგა, IX ზონა**

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 9 მაისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლოკომოტივი" | 6 | 4 | 2 | 0 | 7-1 | 10 |
| „ქიაფაზი" | 6 | 4 | 2 | 0 | 9-5 | 10 |
| „ვოსხოდი" | 6 | 3 | 1 | 2 | 8-4 | 7 |
| „კოლხეთი" | 6 | 2 | 3 | 1 | 6-6 | 7 |
| „ოლიმპია" | 6 | 3 | 0 | 3 | 6-7 | 6 |
| „დინამო" | 6 | 2 | 2 | 2 | 9-6 | 6 |
| „დილა" | 5 | 2 | 2 | 1 | 6-4 | 6 |
| „სპარტაკი" | 6 | 2 | 2 | 2 | 7-11 | 6 |
| „ყარაბახი" | 6 | 2 | 1 | 3 | 8-6 | 5 |
| „შევარ."-სპი | 5 | 2 | 1 | 2 | 6-6 | 5 |
| „მეტალურგი" | 6 | 2 | 1 | 3 | 5-5 | 5 |
| „ავტომობილ." | 6 | 2 | 1 | 3 | 7-8 | 5 |
| „კოლხოზჩი" | 6 | 1 | 3 | 2 | 6-5 | 5 |
| „ლორი" | 6 | 2 | 0 | 4 | 2-7 | 4 |
| „გოიაზანი" | 6 | 1 | 2 | 3 | 3-8 | 4 |
| „მეშახტე" | 4 | 0 | 1 | 3 | 2-8 | 1 |

## საქართველოს პირველობა

რესპუბლიკის საფეხბურთო პირველობის II ჯგუფის გუნდების VIII ტურის შედეგები:

**I ქვეჯგუფი.** „ფოსტამტი" (თბილისი) — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (თბილისი) 0:0, „სამგორი" (გარდაბანი) — უნივერსიტეტი (თბილისი) 1:0, „ბახტრიონი" (ახმეტა) — „ალვანი" (თუშეთი) 3:2, „ალაზანი" (გურჯაანი) — „გარეჯი" (საგარეჯო) 6:1, „ჰერეთი" (ლაგოდეხი) — „შირაქი" (წითელი წყარო) 7:0, „მეტალისტი" (რუსთავი) — „მიონი"-35 (თბილისი) 5:0, სასწავლო-საცდელი მეურნეობა (მუხრანი) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 2:0, „მშენებელი" (რუსთავი) — „ვარდისუბანი" (ლაგოდეხის რ-ნი) 1:0, „ქიზიყი" (სიღნაღი) „სინათლე"-„სპორტინტერნატი" (თბილისი) 1:2.

**II ქვეჯგუფი.** „ავტომობილისტი" (გორი) — „ალგეთი" (მარნეული) 2:1, „გარისი" (თეთრი წყარო) „ზარზმა" (ადიგენი) 1:0, „ლიახვი" (ცხინვალის რ-ნი) — „თრიალეთი" (წალკა) 1:1, „განთიადი" (დმანისი) — „ვარძია" (ასპინძა) 1:2, „ფარავანი" (ბოგდანოვკა) „მეავეჯე" (ახალდაბა) 0:1, „კოლმეურნე" (მარნეულის რ-ნი) — „მეფრინველე" (კასპი) 2:0, „მარაბდა" (კოდა) — „მესხეთი" (ახალციხე) 0:1, „აბული" (ახალქალაქი) — „თორი" (ბორჯომი) 1:0, „ბაგიათი" (ჯავა) — „არაგვი" (დუშეთი) 2:2.

**III ქვეჯგუფი.** „მეშაქრე" (აგარა) — „მშენებელი" (ჭიათურა) 2:2, ხდკ (სამტრედია) — „ცენტრმეტალურგმშენი" (ზესტაფონი) 6:1, „საირმე" (მაიაკოვსკი) — „ჩხერიმელა" (ორჯონიკიძე) 0:0, „მამისონი" (ონი) — „ოკრიბა" (ტყიბულის რ-ნი) 2:1, „ხვამლი" (ცაგერი) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ქუთაისი) 3:4, „იბერია" (ქარელი) — „მაღაროელი" (ჭიათურა) 1:0, „ზანა" (აბაშა) — „იმერეთი" (წულუკიძე) 0:0, „ჩიხურა" (საჩხერე) — „ქიმიკოსი (ამბროლაური) 3:1.

**IV ქვეჯგუფი.** „დარჩელი" (ზუგდიდის რ-ნი) — „კოლხეთი"-2 (ფოთი) 1:0, „ალიონი" (გალის რ-ნი),—„დინამო"-2 (ბათუმი) 2:1, „კოლმეურნე" (გაგრა) — „მეშახტე" (ტყვარჩელი) 5:0, „მზიური" (გალი) — „ჩიბათი" (ლანჩხუთი) 1:1, „ნარინჯი" (ქობულეთი) — „ოდიში" (ზუგდიდის რ-ნი) 0:0, „სუბტროპიკი" (სოხუმი) — უნივერსიტეტი (სოხუმი) 1:1.

## მოკლედ

### ქალთა ფეხბურთი ხობში

წლეულს აქ პირველად მოეწყო სარაიონო პირველობა ქალთა ფეხბურთში. ხობში გოგონები ინტერესით თამაშობენ ფეხბურთს, უწინ შეჯიბრებები ფიზკულტურულ კოლექტივებში იმართებოდა, ახლა კი ეს ღონისძიება სარაიონო მასშტაბისა გახდა.

კარგად მომზადებული გუნდები გამოიყვანეს ნოჯიხევის, ხეთის პროფსასწავლებლებმა, ხობის მე-2 და ქვალონის საშუალო სკოლებმა, სპორტკომპლექსმა „მართვემ".

რაიონის ჩემპიონობა მოიპოვა „მართვემ".

**ნუგზარ ქვანია.**
**(ჩვენი საკ. კორ.).**

ევროპის საკლუბო ტურნირები

# „გეტებორგის" პირველი ნაბიჯი

**ბასულ** ოთხშაბათს, უეფა-ს თასის გათამაშების პირველ ფინალურ მატჩში, შვეციის „გეტებორგმა" შოტლანდიის „დანდი იუნაიტედს" უმასპინძლა. მატჩი დიდ ინტერესს იწვევდა, მაგრამ შეუპოვარი ორთაბრძოლის ნაცვლად გეტებორგის „ნიუ-ულევის" სტადიონზე შეკრებილმა 50.023 მაყურებელმა ამ რანგის შეხვედრისთვის მეტად პასიური და უფერული თამაში იხილა.

შეიძლება ამიტომ იყო, თამაშმა რომ უჩვეულოდ კორექტულად ჩაიარა და არბიტრ ზ. კირშენს (გდრ) ყვითელი ბარათი არავისთვის უჩვენებია. რაც ევროპული ტურნირების დასკვნითი ეტაპების მატჩებისთვის ძალიან იშვიათი ამბავია.

მეტოქეები მინდორზე ასეთი შემადგენლობებით გამოვიდნენ: **„გეტებორგი"** — ვერნერსონი, კარლსონი, ჰიზენი, პ. ლარსონი, ფრედრიქსონი, იოჰანსონი, ტორდ ჰოლმგრენი, ანდერსონი, ტომი ჰოლმგრენი, პეტერსონი, ლენარტ ნილსონი; **„დანდი იუნაიტედი"** — ტომსონი, ჰოლტი, მალფასი, მაკინალი, ჰეგარტი, ნერი, კერკვუდი, ბოუმენი, ბენონი, სტაროკი, რედფორდი. თამაში მასპინძელთა იერიშებით დაიწყო, უკვე მე-3 წუთზე ლენარტ ნილსონს ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა მიეცა: შოტლანდიელები შეცდნენ ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობის შესრულებისას და „გეტებორგის" თავდამსხმელი მეკარესთან პირისპირ გავიდა. მათი ბრძოლა ტომსონის გამარჯვებით დამთავრდა. ამის შემდეგ თამაში უმთავრესად მინდვრის შუაგულში მიმდინარეობდა, თუმცა, შვედები მცირე ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდნენ.

შესვენებამდე 6 წუთით ადრე მასპინძლებმა შეძლეს ანგარიშის გახსნა: ანდერსონის მიერ კუთხურიდან ჩამოწოდებულ ბურთს ყველაზე ადრე პეტერსონი მიწვდა თავით — 1:0.

მეორე ტაიმში მეტოქეებმა ზედიზედ შექმნეს სახიფათო მომენტი, მაგრამ მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდნენ მეკარეები. მატჩის ბოლო წუთებზე შვედებიც და შოტლანდიელებიც თავს არიდებდნენ თამაშის გამწვავებას, ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ ანგარიში 1:0 ორივე მხარეს ხელს აძლევდა.

შოტლანდიელთა მწვრთნელმა ჯიმ მაკლინმა მატჩის დამთავრების შემდეგ განაცხადა, რომ შედეგით კმაყოფილია და ორი კვირის შემდეგ რევანშის აღების იმედი აქვს. შვედების მწვრთნელი გიუნტერ ბენგტსონის პასუხი შედარებით თავდაჭერილი იყო, მან თქვა, რომ ყველაფერს მეორე მატჩი გადაწყვეტს, რომელიც 20 მაისს შედგება დანდიში.

აქ უნდა გავიხსენოთ, რომ „გეტებორგი" ერთხელ უკვე ფლობდა უეფა-ს თასს, 1982 წლის ფინალში მან გფრ-ის „ჰამბურგს" სძლია. შვედებმა პირველი მატჩი მაშინაც შინ ჩაატარეს და იგივე ანგარიშით მოიგეს, საპასუხო შეხვედრაში კი დიდი ანგარიშით 3:0 დაამარცხეს ძლიერი მეტოქე.

„საქართველოს ტელევიზიის დიდი პრიზი" ველოსპორტში

# სიტყვა ეძლევა... ფოტოფინიშს

(დასასრული)

მსოფლიოს უესჩემპიონმა ომარ ფხაკაძემ, რომელსაც გამოუცდელობას ვერ დავწამებთ, ყოველი შემთხვევისთვის ფოტოფირი მიულერსაც აჩვენა და შედეგი მხოლოდ ამის შემდეგ გამოაცხადა.

ფირი ასეთ სიტუაციაში ყველაზე უტყუარი საბუთია, თორემ ჰიუბნერის გამარჯვება ამ სერიაში ვიზუალურად ეჭვს არ იწვევდა. ერთი სიტყვით, ფინალური ბრძო-



იენს გლიუკლიჰი

ლის პირველი სერია ჰიუბნერმა მოიგო.

ეს მოხდა ველოსიპედისტთა საერთაშორისო ტურნირის ბოლო დღეს. მანამდე კი... თბილისის ცენტრალურ ველოტრეკზე ბევრი საინტერესო რბოლა ჩატარდა, რომელთაც მაყურებლებმა სიამოვნებით უცქირეს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჰესლიჰ-ჰიუბნერის ბრძოლას მსოფლიო ჩემპიონატებსა და ოლიმპიურ ტურნირებშიც კი მოუთმენლად ელიან ხოლმე. სხვათა შორის, იგივე მიულერი ტურნირის დამთავრების შემდეგ იტყვის, ამ ორი ველოსიპედისტის ასეთი დაძაბული ბრძოლა დიდი ხანია არ მინახავსო...

რამდენიმე წლის წინათ ველოსპორტის ერთ-ერთმა ცნობილმა სპეციალისტმა, ჩვენმა თანამემამულემ მირონ ბარამიამ საერთაშორისო კავშირს ერთი სიახლე შესთავაზა, რომელიც დეტალური ანალიზისა და განსჯის შემდეგ ერთხმად იქნა მიღებული. რას ითვალისწინებს ეს სიახლე? სპრინტერთა ნებისმიერი ასპარეზობის წინ უნდა მოეწყოს შეჯიბრება 200 მეტრზე გიტში და აქ ნაჩვენები შედეგების მიხედვით შეირჩეს მთავარი ბრძოლების 24 მონაწილე. გიტი სპრინტერთა შეჯიბრების აუცილებელი დანამატი გახდა (ასე ტარდება მსოფლიო ჩემპიონატები, ოლიმპიური ტურნირები, ყველა საკავშირო შეჯიბრება).

200-მეტრიანი დისტანციის სტარტზე ხამოცდასამი მონაწილე გამოვიდა, მაგრამ სპრინტერთა შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება მხოლოდ ოცდაოთხმა უძლიერესმა მიიღო. მათ შორის რვა ველოსიპედისტი საბჭოთა კავშირიდან იყო, ოთხ-ოთხი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან და პოლონეთიდან, სამი — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან, ორი — საფრანგეთიდან და თითო ბულგარეთიდან და ჩეხოსლოვაკიიდან (24-ე მონაწილე ობიექტური მიზეზის გამო სტარტზე არ გამოსულა).

ამ შეჯიბრებაში პირველი მსოფლიო რეკორდი სწორედ 200-მეტრიან დისტანციაზე დამყარდა. გამარჯვებულმა ლუც ჰესლიჰმა დისტანცია 10,119-ში დაფარა. მეორე ადგილი ჰიუბნერმა დაიკავა, მესამე — თბილისელმა ოთარ მჭედლიშვილმა. სპრინტერთა შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება სხვებთან ერთად კიდევ ორმა თბილისელმა ველოსიპედისტმა მოიპოვა: ვლადიმერ ადამაშვილმა — 10,784 (IX ადგილი) და პაატა ხუბულავამ — 10,914 (XV ადგილი).

სპრინტერთა ასპარეზობის პირველი დღის შემდეგ შეირჩა რვა უძლიერესი მონაწილე, რომლებსაც მთავარი პრიზისათვის უნდა გაეგრძელებინათ ბრძოლა, მეორე დღეს შეჯიბრება სწორედ მეოთხედფინალური სერიებით დაიწყო.

მოხდა ისე, რომ ოთარ მჭედლიშვილი პირველსავე წყვილში ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონს ლუც ჰესლიჰს შეხვდა. ბრძოლის საბოლოო შედეგში ეჭვის შეტანა ძნელი იყო, მაგრამ ქართველმა ველოსიპედისტმა ხაოცარი ბრძოლისუნარიანობა გამოამჟღავნა. ჰესლიჰმა ორივე შეხვედრაში გაიმარჯვა, მაგრამ ორივეჯერ უძლიერესის გამოვლენა მხოლოდ ფოტოფინიშით მოხერხდა.

მეოთხედფინალურ სერიებში ყურადღება მიიქცია ადამაშვილისა და მიჰაელ შულცეს (გდრ) შეხვედრამ. ქართველმა ველოსიპედისტმა მოიგო პირველი სერია და მეორეშიც მიზანთან ახლოს იყო. აქვე უნდა ითქვას, რომ მეოთხედფინალები გდრ-ისა და საბჭოთა ველოსიპედისტების თავისებურ დუელად იქცა, რომელშიც სტუმრებმა დამაჯერებელი ანგარიშით გაიმარჯვეს — 4:0.

ნახევარფინალურ სერიებში I–IV ადგილებისთვის მხოლოდ გერმანელი ველოსიპედისტები იბრძოდნენ, V–VIII ადგილებისთვის მხოლოდ საბჭოთა სპორტსმენები.

ფინალში, როგორც აღვნიშნეთ, ჰესლიჰი და ჰიუბნერი დაწყვილდნენ. პირველ სერიაში გამარჯვების შემდეგ ჰიუბნერმა პოზიციები ერთიორად განიმტკიცა, მაგრამ ორ მომდევნო რბოლაში ჰესლიჰმა მეტოქეს ზედ ფინიშის ხაზზე გაუსწრო და ორივე სერია თავის სასარგებლოდ დაამთავრა. როგორც ჩანს, ჰესლიჰი მაინც ჰესლიჰია.

„საქართველოს ტელევიზიის დიდი პრიზის" გათამაშება ამავე დროს ევროპის თასის პირველ ეტაპს წარმოადგენს. ევროპული შეჯიბრების ჩათვლაში კი სპრინტის გარდა 1000 მეტრზე გიტიც შედის. ასე რომ, პროგრამის ამ სახეობამაც დიდი ინტერესი გამოიწვია.

შეჯიბრებას გიტში, როგორც წესი, შედარებით სუსტი ველოსიპედისტები იწყებენ. პირველი სერიოზული განაცხადი ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილემ, საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრმა სერგეი ბაგმატმა გააკეთა — 1.08,422. სულ მალე მისი შედეგი შეიარაღებულ ძალთა გუნდის წევრმა იური ფედუნმა გააუმჯობესა — 1.06,750. ეს მაჩვენებელი დიდხანს საუკეთესო იყო. მერე ალექსანდრე კირიჩენკოს (სსრ კავშირი) ჯერი დადგა — 1.05,662.

პრიზიორთა სამეულში მოხვედრის სერიოზული განაცხადი კონსტანტინე ხრაბცოვმა (სსრ კავშირი) გააკეთა — 1.04,797. პირველ-მეორე ადგილებზე ბოლო ორი წლის მსოფლიო ჩემპიონები იენს გლიუკლიჰი და მაიკ მალხოვი (ორივე — გდრ) გავიდნენ. გლიუკლიჰმა 1.04,634 აჩვენა, მალხოვმა — 1.04,708. ხრაბცოვი მესამე ადგილზე დარჩა.

პროგრამის ძირითადი სახეობების პარალელურად ჩატარდა სპრინტერთა საკავშირო შეჯიბრება. მაგრამ მანამდე სალიდერო რბოლაში მსოფლიო რეკორდების გაუმჯობესება სცადეს ალექსანდრე რომანოვმა და ალექსანდრე შოპინმა. ამ სახელოვანი წყვილის ცდა წარმატებით დაგვირგვინდა, თბილისის ცენტრალურ ველოტრეკზე სამი მსოფლიო რეკორდი გაუმჯობესდა: 50 კილომეტრზე — 35.21,108, 100 კილომეტრზე — 1:10.50,940 და 1 საათიან რბოლაში — 84 კილომეტრი და 735 მეტრი. ერთი საკავშირო რეკორდი 500 მეტრზე გატში (სოლო) ტალინელმა ერიკა სალუმიაემ დაამყარა — 30,606.



ლუც ჰესლიჰი

კვარცხლბეკი

**200 მ. გიტი.** 1. ლ. ჰესლიჰი — 10,119, 2. მ. ჰიუბნერი (ორივე — გდრ) — 10,158, 3. ო. მჭედლიშვილი (სსრ კავშირი) — 10,604.

**სპრინტი.** 1. ლ. ჰესლიჰი, 2. მ. ჰიუბნერი, 3. ჰ. როზენი, 4. მ. შულცე (ყველა — გდრ), 5. ო. მჭედლიშვილი, 6. ს. იგნატოვი, 7. ა. კირიჩენკო, 8. ვ. ადამაშვილი (ყველა — სსრ კავშირი).

**1000 მ. გიტი.** 1. ი. გლიუკლიჰი — 1.04,634, 2. მ. მალხოვი (ორივე — გდრ) — 1.04,708, 3. ხრაბცოვი (სსრ კავშირი) — 1.04,797.

**საკავშირო შეჯიბრება. 200 მ. გიტი (ქალები).** 1. ე. სალუმიაე (ესტონეთი) — 11,694, 2. ნ. კრუშელნიცკაია (უკრაინა) — 11,829, 3. გ. ცარიოვა (ლენინგრადი) — 11,875.

**სპრინტი (ვაჟები).** 1. მ. სვიატცევი, 2. ა. ბელოსტეცკი, 3. ს. ბიკოვი (ყველა — შეიარაღებული ძალები).

**სპრინტი (ქალები).** 1. ნ. კრუშელნიცკაია, 2. გ. ენიუხინა („შრომითი რეზერვები"), 3. გ. ცარიოვა.

**ნოდარ გუგუშვილი.**





აი, ფირი, რომელმაც ხჯა-ბაასი და დავა გამოიწვია. პირველ პლანზე ჰესლიჰია, მეორეზე ჰიუბნერი. ახლა, როცა გამოსახულება დიდ ფორმატზე დავბეჭდეთ, მსაჯთა „განაჩენი" სწორი და უტყუარი გვეჩვენება, მაგრამ მაშინ, ცხელ გულზე, გადაწყვეტილების მიღება გაძნელდა.

მთავარი მსაჯი ომარ ფხაკაძე ჰიუბნერს აღიარებდა გამარჯვებულად, გერმანელთა მწვრთნელმა გერდ მიულერმა კი „ომეგას" სისტემის სიზუსტეშიც ეჭვი შეიტანა (ფინიში სწორედ შვეიცარიული ფირმის აპარატმა გადაიღო). როგორც შემდეგ გაირკვა, მსოფლიოს ექსჩემპიონს ომარ ფხაკაძეს უფრო მახვილი თვალი და უტყუარი ალღო ჰქონია. არცაა გასაკვირი, გამოცდილებას მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს.

## ყურადღება!

**საქართველოს სსრ სპორტსახკომი აცხადებს კონკურსს ტარტუს უნივერსიტეტის სპორტული მედიცინის ფაკულტეტის (I) კურსზე ჩასარიცხავად აბიტურიენტთა შესარჩევად.**

მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები (ორ ეგზემპლიარად).

1. კადრების აღრიცხვის ფურცელი
2. ავტობიოგრაფია
3. დახასიათება სამუშაო ადგილიდან
4. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 080 უ)
5. ნოტარიალურად დამტკიცებული დიპლომის ასლი
6. ჩათვლის უწყისის ამონაწერი
7. განცხადება სპორტსახკომის თავმჯდომარის სახელზე
8. 6 ფოტოსურათი (3X4)
9. განცხადება უნივერსიტეტის რექტორის სახელზე.

საბუთების მიღება 14 მაისამდე საქართველოს სსრ სპორტსახკომში (ოთახი № 46).

**ოლიმპიური რეზერვის რესპუბლიკური ზოგადსაგანმანათლებლო სპორტული პროფილის საშუალო სკოლა აცხადებს მოსწავლე-სპორტსმენთა მიღებას 1987-88 სასწავლო წლისათვის.**

სკოლაში მიიღებიან მოსწავლეები, რომლებმაც გაიარეს წინასწარი სპორტული მომზადება და აქვთ სულ მცირე II თანრიგი სპორტის არჩეულ სახეობაში. ისინი ჩაირიცხებიან: აკადემიურ ნიჩბოსნობაში — VII, VIII, IX კლასებში, ბაიდარებითა და კანოეთი ნიჩბოსნობაში VII, VIII, IX კლასებში, მძლეოსნობაში — VII, VIII, IX კლასებში, კლასიკურ ჭიდაობაში — VII, VIII კლასებში, თავისუფალ ჭიდაობაში — VII, VIII კლასებში, ფარიკაობაში — VII-VIII კლასებში, ძიუდოში — VII-VIII კლასებში და ფეხბურთში — VII, VIII კლასებში. ჩარიცხვისას უპირატესობა მიენიჭებათ რაიონებიდან ჩამოსულ მოსწავლეებს.

შემსვლელებს, რომლებიც გამოცდებს აბარებენ საერთო ფიზიკურ მომზადებაში და არჩეულ სპორტის სახეობაში, გასაუბრება ექნებათ საშუალო სკოლის ზოგადსაგანმანათლებლო საგნებში.

სკოლაში სწავლის გაგრძელების მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: 1. ჯანმრთელობის ცნობა (ფორმა № 26, № 63, № 191), 2. სპორტული თანრიგის წიგნაკი, მშობ-ს წიგნაკი, 3. მშობლის განცხადება დირექტორის სახელზე, 4. დაბადების მოწმობა არქივის ცნობით. კომკავშირულ საბუთებს წარმოადგენენ პირადად.

გამოცდაზე აკადემიურ ნიჩბოსნობაში გამონაკლისის სახით დაიშვებიან უთანრიგო ფიზიკურად კარგად მომზადებული და ტანმაღალი მოსწავლეები (ბიჭები 185 სმ-ზე მეტი, გოგონები 175 სმ-ზე მეტი).

წინასწარი გამოცდები ჩატარდება 1987 წლის 24-25 მაისს 12 საათიდან 18 საათამდე. საბუთები მიიღება 10 მაისიდან 23 მაისის ჩათვლით 9-დან 18 საათამდე, ყოველდღე, კვირა დღის გარდა. სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს. შერჩეულ მოსწავლეებს ექნებათ საზაფხულო შეკრება.

ჩარიცხული მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით, სპორტული ფორმითა და ოთხჯერადი კვებით. ჩარიცხული ბავშვები სახელმწიფო კმაყოფაზე იქნებიან.

მისამართი: თბილისი, გლდანი, თიანეთის გზატკეცილი № 25. ავტობუსი 80, 24 — მეტრო „დიდუბიდან", 56 — მეტრო „ღრმაღელიდან", სამარშრუტო ტაქსი 24. ტელეფონი: 67-18-34; 67-53-95.

## ცისფერ ეკრანზე

**დღეს**, 21 საათსა და 15 წუთზე, ცენტრალური ტელევიზიის მეორე პროგრამით — ციკლში „სპორტი და პიროვნება" შეგიძლიათ ნახოთ გადაცემა ომამდელი და ომისშემდგომი წლების ლეგენდარულ საბჭოთა მოკრივეზე, სსრ კავშირის ცხრაგზისა და სამგზის აბსოლუტურ ჩემპიონ, სამამულო ომის მონაწილე ნიკოლოზ კოროლიოვზე.

ამერიკელებმა 1946 წელს საბჭოთა მძიმეწონოსანს მიწვევა გაუგზავნეს რინგზე შეხვედროდა აშშ-ის პროფესიონალებს.

ნ. კოროლიოვი საგანგებოდ ემზადებოდა „ყავისფერ ბომბარდირ" ზანგ ჯო ლუისთან შესახვედრად — სტალინს მისწერა კიდეც, სამშობლოს არ შევარცხვენო... და მაინც იგი ამერიკაში არ ჩასულა.

სცენარის ავტორი ამ უნიკალური მოკრივისა და მისი მეტოქეების ბრძოლებით არ იფარგლება და გადაცემაში კოროლიოვის ოსტატობის თაყვანისმცემელ სახელგანთქმულ ადამიანებსაც წარმოგვიდგენს.

რედაქტორი
**თ. ბაჩეჩილაძე.**

გამარჯვების დღეს, 9 მაისს, ჯანმრთელობის ზონაში 9-დან 21 საათამდე იმუშავებს ბრეიგ-დანსის, მძლეოსნობის, ბაგირის გადაძალვის, ათლეტიზმის, სიმძიმეების აწევის, ჩოგბურთის, მაგიდის ჩოგბურთის ჯგუფები.

მობრძანდით — ივარჯიშეთ, გაკაჟდით, გაჯანსაღდით..

9 მაისიდან სპორტული ჯგუფები იმუშავებენ ყოველდღე.

**საქართველოს კულტურის მუშაკთა პროფკავშირის თბილისის ფიზკულტურისა და სპორტული ორგანიზაციების გაერთიანებული კომიტეტი**

**10 მაისიდან 21 ივნისამდე**

დედაქალაქის ბაზებზე ატარებს ამ სისტემის თანამშრომელთა „ჯანმრთელობის" მეთერთმეტე სპარტაკიადას.

შეჯიბრება ეძღვნება ოქტომბრის რევოლუციის 70-ე წლისთავს.

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096.
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

**რედაქციის ტელეფონები:**
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი:** 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21

უე 05332